

# საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №253/04  
2018 წლის 30 ნოემბერი

ქ. თბილისი

## ფულადი სახსრების გადარიცხვის და ვირტუალური აქტივის გადაცემის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე ორგანული კანონის 52<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.

### მუხლი 1

დამტკიცდეს ფულადი სახსრების გადარიცხვის და ვირტუალური აქტივის გადაცემის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულება თანდართული რედაქციით.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.

### მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 5 ნოემბრიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 26 ივნისის ბრძანება №111/04 - ვებგვერდი, 27.06.2019წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება №206/04 - ვებგვერდი, 31.10.2019წ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

## ფულადი სახსრების გადარიცხვის და ვირტუალური აქტივის გადაცემის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულება

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.

### მუხლი 1. დებულების გავრცელების სფერო

1. ამ დებულების მიზანია განისაზღვროს ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაციაში გადამხდელისა და მიმღების შესახებ, ასევე, ვირტუალური აქტივის გადაცემისას ვირტუალური აქტივის გადამცემის და ვირტუალური აქტივის მიმღების შესახებ ის სავალდებულო რეკვიზიტები, რომელიც თან უნდა ახლდეს აღნიშნულ გადარიცხვას/გადაცემას მისი შესრულების ყველა ეტაპზე. ეს დებულება ვრცელდება ისეთ გადარიცხვაზე, რომლის გადამხდელის ან/და მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან მიკრობანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა. ეს დებულება ასევე ვრცელდება ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერზე და საფინანსო სექტორის იმ წარმომადგენელზე, რომელსაც საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება.

2. ეს დებულება ვრცელდება ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაციაზე ნებისმიერ ვალუტაში, რომელიც იგზავნება, გადაცემულია ან მიღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის/მიკრობანკის ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ.



ეს დებულება ასევე ვრცელდება ვირტუალური აქტივის გადაცემის ტრანზაქციებზე, მათ შორის, ვირტუალური აქტივის თვითმომსახურების კიოსკით შესრულებული ვირტუალური აქტივის გადაცემის ტრანზაქციებზე, როდესაც ვირტუალური აქტივის გადამცემის ან ვირტუალური აქტივის მიმღების პროვაიდერს ან ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალ პროვაიდერს წარმოადგენს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი ან საფინანსო სექტორის წარმომადგენელი, რომელსაც საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება.

3. ეს დებულება არ ვრცელდება საგადახდო ბარათის, ელექტრონული ფულის ინსტრუმენტის, მობილური ტელეფონის საშუალებით, ან გადამხდელის სხვა მსგავსი ციფრული ან ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მოწყობილობით (შემდგომში – ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტი) ინიცირებული გადარიცხვის ოპერაციებზე, თუ სრულდება შემდეგი ორივე პირობა:

ა) ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტის საშუალებით ხორციელდება საქონლისა და მომსახურების საფასურის გადახდა;

ბ) ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტის ნომერი თან ახლავს გადახდის ოპერაციას მისი შესრულების ყველა ეტაპზე, იმგვარი სახით, რომ შესაძლებელი იყოს გადახდის ოპერაციის დაკავშირება გადამხდელთან.

4. დებულება ასევე არ ვრცელდება შემდეგი გადარიცხვის ოპერაციებზე:

ა) გადამხდელის მიერ საკუთარი ანგარიშიდან თანხის გატანა ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებით;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში გადახდის ოპერაცია;

გ) პროვაიდერებს შორის განხორციელებული გადახდის ოპერაციები ან ანგარიშსწორება, რომლებშიც გადამხდელი და მიმღები საკუთარი სახელით მოქმედი პროვაიდერებია.

4<sup>1</sup>. ეს დებულება არ ვრცელდება:

ა) ვირტუალური აქტივის გადაცემაზე, თუ ვირტუალური აქტივის გადამცემი და ვირტუალური აქტივის მიმღები წარმოადგენენ ვირტუალური აქტივის პროვაიდერს, რომლებიც გადაცემისას მოქმედებენ საკუთარი სახელით;

ბ) ვირტუალური აქტივის გადაცემაზე, თუ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი მის მიერ გაწეული მომსახურების ფარგლებში ვირტუალური აქტივის ურთიერთგადაცვლის შედეგად მიღებულ ფულად სახსრებს მომხმარებლის დავალების საფუძველზე უნაღდო ფორმით გადასცემს მომსახურების სქემაში ჩართულ მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, შუამავალ პროვაიდერს ან ექვაირერს, საქონლის ან მომსახურების საფასურის გადარიცხვის ოპერაციებზე და თუ დაცულია ყველა შემდეგი პირობა:

ბ.ა) ვირტუალური აქტივის გადამცემის პროვაიდერი და ფულადი სახსრების მიმღების პროვაიდერი/შუამავალი პროვაიდერი საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტია;

ბ.ბ) ვირტუალური აქტივის გადამცემის პროვაიდერსა და ფულადი სახსრების მიმღებს შორის არსებული ელექტრონული ინფორმაციის მიმოცვლის სისტემა უზრუნველყოფს ოპერაციის დანიშნულების დადგენას;

ბ.გ) ვირტუალური აქტივის გადამცემის პროვაიდერს და ფულადი სახსრების მიმღების პროვაიდერს აქვს ტრანზაქციის უნიკალური კოდის ან სხვა რეკვიზიტის საშუალებით საქონლის ან მომსახურების მიმღების დადგენის შესაძლებლობა;



ბ.დ) ოპერაციის თანხა არ აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს, ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში.

5. ამ დებულების მოთხოვნები არ ვრცელდება საქონლის ან მომსახურების საფასურის გადარიცხვის ოპერაციებზე, თუ დაცულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) მიმღების და გადამხდელის პროვაიდერი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი/მიკრობანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა;

ბ) გადამხდელის პროვაიდერსა და მიმღებს შორის არსებული ელექტრონული ინფორმაციის მიმოცვლის სისტემა, რომლის საფუძველზეც ყალიბდება გადახდის ოპერაცია, უზრუნველყოფს გადახდის ოპერაციის დანიშნულების დადგენას;

გ) გადამხდელის პროვაიდერს ან/და მიმღების პროვაიდერს მიმღების მეშვეობით აქვს ტრანზაქციის უნიკალური კოდის ან სხვა რეკვიზიტის საშუალებით საქონლის ან მომსახურების მიმღების დადგენის შესაძლებლობა;

დ) ოპერაციის თანხა არ აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს, ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში.

6. საგადახდო სისტემის ან შეტყობინებების გაცვლის სისტემის წესებით შესაძლოა დადგენილი იყოს გადამხდელისა და მიმღებისათვის ამ დებულებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა სხვა დამატებითი ინფორმაციის გადაცემის ვალდებულება.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №151/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.*  
*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.*

## **მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. დებულებაში მოცემულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შუამავალი პროვაიდერი – საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც არ არის გადამხდელის ან მიმღების პროვაიდერი და რომელიც იღებს გადახდის ოპერაციას გადამხდელის ან სხვა შუამავალი პროვაიდერისგან და გადასცემს მას მიმღების ან სხვა შუამავალ პროვაიდერს;

ბ) გადარიცხვა (ან გადარიცხვის ოპერაცია) – გადამხდელის დავალებით/თანხმობით პროვაიდერის მიერ ელექტრონული საშუალებით თანხის გაგზავნა მიმღებისთვის ოპერაციის თანხის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, გადამხდელის და მიმღების სახელზე ანგარიშების გაუხსნელად. გადარიცხვისას, გადამხდელი და მიმღები შეიძლება ერთი და იგივე პირი იყოს ან ორივეს ერთი პროვაიდერი უწევდეს საგადახდო მომსახურებას. კერძოდ, გადარიცხვაში შედის:

ბ.ა) საკრედიტო გადარიცხვა;

ბ.ბ) სადებეტო გადარიცხვა (მათ შორის, პირდაპირი დებეტი);

ბ.გ) ფულადი გზავნილები, როგორც ლოკალური, ასევე საერთაშორისო;

ბ.დ) ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტით განხორციელებული გადახდის ოპერაცია;

გ) დაკავშირებული გადარიცხვის ოპერაციები – ერთსა და იმავე გადამხდელსა და მიმღებს შორის პროვაიდერის მიერ განსაზღვრულ დროის გონივრულ პერიოდში შესრულებული გადარიცხვები. ასევე, პროვაიდერის მიერ პოლიტიკით ან/და პროცედურებით დამატებით განსაზღვრული სხვა კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც გადარიცხვის ოპერაციები დაკავშირებულად განიხილება;

დ) ტრანზაქციის უნიკალური კოდი – პროვაიდერის მიერ საგადახდო სისტემის ან შეტყობინებების გაცვლის სისტემის წესების საფუძველზე, ან/და მისი შიდა სისტემისთვის განსაზღვრული ასოების, ციფრების, სიმბოლოების ან სხვა მონაცემების კომბინაცია, რომელიც ენიჭება აღნიშნული სისტემებით



შესრულებულ გადახდის ოპერაციებს და რომელიც უზრუნველყოფს გადახდის ოპერაციის დაკავშირებას გამამხდელსა და მიმღებთან. ასევე, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ან საფინანსო სექტორის წარმომადგენლის მიერ, რომელსაც საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება, განსაზღვრული ასოების, ციფრების, სიმბოლოების ან სხვა მონაცემების კომბინაცია, რომელიც უზრუნველყოფს ვირტუალური აქტივის გადაცემის ტრანზაქციის მიკვლევადობას ვირტუალური აქტივის გამამცემთან და ვირტუალური აქტივის მიმღებთან;

ე) პაკეტური ფაილი – გაგზავნის/გადაცემის მიზნით შექმნილი ერთზე მეტი ინდივიდუალური გადახდის/გადაცემის ოპერაციის/ტრანზაქციის ერთობლიობა;

ვ) ვირტუალური აქტივის პროვაიდერი – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი ან საფინანსო სექტორის წარმომადგენელი, რომელსაც საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება;

ზ) ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერი – ვირტუალური აქტივის პროვაიდერი, რომელიც არ არის ვირტუალური აქტივის გამამცემის ან ვირტუალური აქტივის მიმღების ვირტუალური აქტივის პროვაიდერი და რომელიც იღებს ვირტუალური აქტივის გადაცემის ტრანზაქციას ვირტუალური აქტივის გამამცემის ვირტუალური აქტივის პროვაიდერისგან (შემდგომში – აქტივის გამამცემის პროვაიდერი) ან სხვა ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერისგან და გადასცემს მას ვირტუალური აქტივის მიმღების ვირტუალური აქტივის პროვაიდერს (შემდგომში – აქტივის მიმღების პროვაიდერი) ან ვირტუალური აქტივის მომსახურების სხვა შუამავალ პროვაიდერს;

თ) განაწილებული აღრიცხვის მისამართი – ალფანუმერული კოდი, რომელიც განსაზღვრავს მისამართს ქსელში, რომელიც იყენებს განაწილებული აღრიცხვის ტექნოლოგიას (DLT) ან მსგავს ტექნოლოგიას, საიდანაც შესაძლებელია ვირტუალური აქტივების გადაცემა ან სადაც შესაძლებელია ვირტუალური აქტივის მიღება;

ი) ვირტუალური აქტივის ანგარიში – ერთი ან ერთზე მეტი პირის სახელზე ვირტუალური აქტივის პროვაიდერთან არსებული ანგარიში, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ვირტუალური აქტივების გადაცემის ტრანზაქციის განსახორციელებლად;

კ) თვითმართვადი მისამართი (self-hosted address) – განაწილებული აღრიცხვის მისამართი, რომელიც არ უკავშირდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმეს:

კ.ა) ვირტუალური აქტივის პროვაიდერს;

კ.ბ) იურიდიულ პირს, რომელიც არ არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაფუძნებული და რეგისტრირებული და ახორციელებს ვირტუალური აქტივის პროვაიდერის მსგავს მომსახურებას;

ლ) ვირტუალური აქტივის გამამცემი (აქტივის გამამცემი) – პირი, რომელიც ფლობს ვირტუალური აქტივის ანგარიშს ვირტუალური აქტივის პროვაიდერთან, განაწილებული აღრიცხვის მისამართს ან მოწყობილობას, რომელიც იძლევა ვირტუალური აქტივის შენახვის შესაძლებლობას და, ამასთანავე, ეს პირი ეთანხმება ამ ანგარიშიდან, განაწილებული აღრიცხვის მისამართიდან ან მოწყობილობიდან ვირტუალური აქტივის გადაცემას, ან ასეთი ანგარიშის, განაწილებული აღრიცხვის მისამართის ან მოწყობილობის არარსებობის შემთხვევაში – პირი, რომელიც გასცემს ვირტუალური აქტივის გადაცემის დავალებას ან აინიცირებს გადაცემას;

მ) ვირტუალური აქტივის მიმღები (აქტივის მიმღები) – პირი, რომლისკენაც მიმართულია ვირტუალური აქტივის გადაცემა;

ნ) იურიდიული პირის იდენტიფიკატორი (LEI) – ISO 17442 სტანდარტზე დაფუძნებული უნიკალური ალფანუმერული რეფერენტული კოდი, რომელიც ენიჭება იურიდიულ პირს.



2. დებულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 22 იანვრის №8/04 ბრძანებით დამტკიცებული „გადახდის ოპერაციის შესრულების წესით“ და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 26 ივნისის ბრძანება №111/04 - ვებგვერდი, 27.06.2019წ.  
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.*

### **მუხლი 3. გადამხდელის პროვაიდერის ვალდებულება გადარიცხვის თანმხლებ ინფორმაციასთან დაკავშირებით**

1. გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გადარიცხვის ოპერაციას თან ახლდეს გადამხდელის და მიმღების შესახებ ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია.

2. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გადარიცხვის ოპერაციას თან ახლდეს:

ა) გადამხდელის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ა.ა) გადამხდელის სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი);

ა.ბ) გადამხდელის ანგარიშის ნომერი (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გადახდის ოპერაციას თან უნდა ახლდეს ტრანზაქციის უნიკალური კოდი);

ა.გ) გადამხდელის მისამართი, მათ შორის, ქვეყნის დასახელება ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/პასპორტის ნომერი, ან პირის საიდენტიფიკაციო ნომერი, ან გადამხდელის დაბადების თარიღი და ადგილი;

ა.დ) გადამხდელი იურიდიული პირის ოფიციალური საიდენტიფიკაციო მონაცემი (შესაძლებელია, მათ შორის, LEI), თუ შეტყობინების ფორმატში შესაბამისი ველი წარმოდგენილია და გადამხდელის მიერ თავისი საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის მიწოდებულია

ბ) მიმღების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ბ.ა) მიმღების სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი);

ბ.ბ) მიმღების ანგარიშის ნომერი (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გადახდის ოპერაციას უნდა გაყვეს ტრანზაქციის უნიკალური კოდი);

ბ.გ) მიმღები იურიდიული პირის ოფიციალური საიდენტიფიკაციო მონაცემი (შესაძლებელია, მათ შორის, LEI), თუ შეტყობინების ფორმატში შესაბამისი ველი წარმოდგენილია და გადამხდელის მიერ თავისი საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის მიწოდებულია.

3. თუ გადახდის ოპერაციის შესრულებაში მონაწილე ყველა პროვაიდერი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი/მიკრობანკი ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა, მაშინ გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია გააყოლოს გადარიცხვის ოპერაციას, სულ მცირე, გადამხდელის და მიმღების ანგარიშის ნომრები (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გადახდის ოპერაციას უნდა გაყვეს ტრანზაქციის უნიკალური კოდი). თუ გადარიცხვის ოპერაციის ინიცირება ხორციელდება ელექტრონულად, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ან სხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, გადამხდელის ვერიფიკაცია დასაშვებია განხორციელდეს იმ პროვაიდერის მიერ, ვისაც გატარებული აქვს ამ გადამხდელის იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის პროცედურები.

4. თუ მიმღების პროვაიდერი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი/მიკრობანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო



მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და გადარიცხვის ოპერაციის თანხა არ აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, მაშინ გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია გააყოლოს გადარიცხვის ოპერაციას სულ მცირე გადამხდელის და მიმღების სახელწოდებები (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი) და ანგარიშის ნომრები (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გადახდის ოპერაციას უნდა გაჰყვეს ტრანზაქციის უნიკალური კოდი).

5. გადამხდელის პროვაიდერმა არ უნდა შეასრულოს გადარიცხვის ოპერაცია, თუ მას გადამხდელის მიმართ არ გაუტარებია ვერიფიკაციის პროცედურები „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული ვერიფიკაციისა და დოკუმენტაციის/ინფორმაციის შენახვის მოთხოვნების შესაბამისად, შემდეგ შემთხვევებში:

ა) გადარიცხვის ოპერაციის თანხა ან დაკავშირებული გადარიცხვის ოპერაციების ჯამური თანხა აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს, ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში; ან

ბ) გადამხდელისგან თანხის მიღება განხორციელდა ნაღდი ფულით ან ანონიმური ელექტრონული ინსტრუმენტით; ან

გ) არის ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი.

6. ამ მუხლით განსაზღვრული გადარიცხვის ოპერაციებისთვის დადგენილი გადამხდელის შესახებ მონაცემების ვერიფიკაცია უნდა განხორციელდეს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

7. ერთი გადამხდელის გადახდის ოპერაციების პაკეტური ფაილის სახით შესრულებისას, როდესაც მიმღებების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (პროვაიდერები) არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან მიკრობანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, პაკეტური ფაილის შემადგენელი თითოეული ინდივიდუალური გადახდის ოპერაცია შეიძლება შეიცავდეს გადამხდელის შესახებ ამ მუხლის მე-2 პუნქტის მხოლოდ „ა.ბ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებულ ინფორმაციას, თუ ამავედროულად გადახდის ოპერაციების პაკეტური ფაილი შეიცავს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“-„ა.გ“, „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას და გადამხდელის მიმართ შესრულებულია ამ მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 26 ივნისის ბრძანება №111/04 - ვებგვერდი, 27.06.2019წ.  
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 14 ივლისის ბრძანება №90/04 - ვებგვერდი, 15.07.2021 წ.  
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №151/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.  
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.*

#### **მუხლი 4. გადამხდელის პროვაიდერის ვალდებულება მიმღების და შუამავალი პროვაიდერების მიმართ**

გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია, უზრუნველყოს, მიმღების პროვაიდერისგან ან შუამავალი პროვაიდერისგან მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, სამი სამუშაო დღის ვადაში, მათთვის შემდეგი ინფორმაციის მიწოდება:

ა) თუ გადარიცხვის ოპერაციის თანხა ან დაკავშირებული გადარიცხვის ოპერაციების ჯამური თანხა აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს, ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, მაშინ – გადამხდელის და მიმღების შესახებ ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“, „ა.ბ“, „ა.დ“, „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის და „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულიდან ერთ-ერთი ინფორმაციის;

ბ) თუ გადარიცხვის ოპერაციის თანხა არ აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს, ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, მაშინ – გადამხდელის და მიმღების სახელწოდებები (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი) და ანგარიშის ნომრები (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში - ტრანზაქციის უნიკალური კოდი).



**მუხლი 5. მიმღების პროვაიდერის ვალდებულება გადარიცხვის თანხლებ ინფორმაციასთან დაკავშირებით**

1. მიმღების პროვაიდერი ვალდებულია დანერგოს ეფექტური პროცედურები, რომელთა საშუალებით დროის რეალურ რეჟიმში ან გადარიცხვისას ან გადარიცხვის შემდგომი მონიტორინგის გზით განახორციელებს მიღებულ გადარიცხვებში (შემდგომში – ჩარიცხვები) გადამხდელსა და მიმღებზე შემდეგი ინფორმაციის არსებობის შემოწმებას:

ა) თუ გადახდის ოპერაციის შესრულებაში მონაწილე ყველა პროვაიდერი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკები/მიკრობანკები ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებია – გადამხდელის და მიმღების ანგარიშის ნომრები (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ტრანზაქციის უნიკალური კოდი);

ბ) თუ გადახდის ოპერაციის შესრულებაში მონაწილე გადამხდელი ან შუამავალი პროვაიდერი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი/მიკრობანკი ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და გადარიცხვის ოპერაციის თანხა ან დაკავშირებული გადარიცხვის ოპერაციების ჯამური თანხა აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, მაშინ გადამხდელის შესახებ ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ყველა, ასევე, „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულიდან ერთ-ერთი ინფორმაცია, ხოლო მიმღების შესახებ – ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია;

გ) თუ გადახდის ოპერაციის შესრულებაში მონაწილე გადამხდელი ან შუამავალი პროვაიდერი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი/მიკრობანკი, ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და გადარიცხვის ოპერაციის თანხა არ აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, მაშინ ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“, „ა.ბ“ და „ბ.ა“, „ბ.ბ“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებული ინფორმაცია.

2. მიმღების პროვაიდერმა არ უნდა დააკრედიტოს მიმღების ანგარიში ან არ უნდა გახადოს ხელმისაწვდომი თანხა მიმღებისთვის, თუ მას მიმღების მიმართ არ გაუტარებია ვერიფიკაციის პროცედურები „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული ვერიფიკაციისა და დოკუმენტაციის/ინფორმაციის შენახვის მოთხოვნების შესაბამისად, შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ჩარიცხვის თანხა ან დაკავშირებული ჩარიცხვების ჯამური თანხა აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს, ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში; ან

ბ) ფულადი გზავნილის ნაღდი ფულით გატანისას ან ანონიმურ ელექტრონულ ინსტრუმენტზე გადატანისას;

გ) თუ არის ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 26 ივნისის ბრძანება №111/04 - ვებგვერდი, 27.06.2019წ.  
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 14 ივლისის ბრძანება №90/04 - ვებგვერდი, 15.07.2021 წ.  
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №151/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.  
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.

**მუხლი 6. შუამავალი პროვაიდერის ვალდებულება გადარიცხვის თანხლებ ინფორმაციასთან დაკავშირებით**

1. შუამავალმა პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს გადახდის ოპერაციაში არსებული გადამხდელის და მიმღების შესახებ ყველა ინფორმაციის გადაცემა მიმღების ან სხვა შუამავალი პროვაიდერისათვის.

2. შუამავალი პროვაიდერი ვალდებულია დანერგოს ეფექტური რისკზე დამყარებული პროცედურები,



რომელთა საშუალებით განახორციელებს გადარიცხვებში გადამხდელსა და მიმღებზე ამ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის არსებობის დადგენას გადარიცხვისას დროის რეალურ რეჟიმში ან გადარიცხვის შემდგომი მონიტორინგის გზით.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 26 ივნისის ბრძანება №111/04 - ვებგვერდი, 27.06.2019წ.  
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.

## **მუხლი 7. გადარიცხვები არასრული თანხები ინფორმაციით**

1. მიმღების პროვაიდერმა უნდა დაწეროს ეფექტური, რისკზე დამყარებული პროცედურები, რომელიც, მათ შორის, მოიცავს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რისკზე დამყარებულ მიდგომას და რომლის საფუძველზეც პროვაიდერი განსაზღვრავს არასრული თანხები ინფორმაციით მიღებული ჩარიცხვების შესრულების, უკან დაბრუნების ან მიმღების ანგარიშზე ჩარიცხვის/მიმღებისთვის ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობის შეჩერების საკითხებს, ასევე აღნიშნულ ჩარიცხვებთან დაკავშირებით პროვაიდერის შემდგომი ქმედებების საკითხებს (მათ შორის, გადამხდელის ან შუამავალი პროვაიდერისგან ამ დებულებით განსაზღვრული ინფორმაციის გამოთხოვას).

2. რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე, მიმღების პროვაიდერი თავად განსაზღვრავს როდის განახორციელებს გადამხდელის ან შუამავალი პროვაიდერისგან ინფორმაციის გამოთხოვას - მიმღების ანგარიშზე თანხის დაკრედიტებამდე/მიმღებისთვის თანხის ხელმისაწვდომობამდე თუ მას შემდეგ. მიმღების პროვაიდერი ასევე უფლებამოსილია შეაჩეროს ან არ შეასრულოს და უკან დააბრუნოს ჩარიცხვა.

3. რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე, შუამავალი პროვაიდერი თავად განსაზღვრავს, როდის განახორციელებს გადამხდელის ან სხვა შუამავალი პროვაიდერისგან ინფორმაციის გამოთხოვას – გადარიცხვის ოპერაციის მიმღების ან სხვა შუამავალი პროვაიდერისთვის გადაცემამდე თუ მას შემდეგ. შუამავალი პროვაიდერი ასევე უფლებამოსილია შეაჩეროს ან არ შეასრულოს და უკან დააბრუნოს გადარიცხვის ოპერაცია.

4. თუ პროვაიდერი არ უზრუნველყოფს გადამხდელის ან მიმღების შესახებ ამ დებულებით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდებას, მიმღების ან შუამავალმა პროვაიდერმა ზემოაღნიშნული პროვაიდერის რისკისა და დარღვევის სიხშირის გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მისი გაფრთხილების ან ამ პროვაიდერისათვის ვადის დადგენის შესახებ, რომლის შემდგომაც ინფორმაციის მოწოდების ვალდებულების დარღვევის გამო მიმღების ან შუამავალი პროვაიდერი აღარ მიიღებს მისგან ჩარიცხვებს ან შეზღუდავს ან შეწყვეტს მასთან საქმიან ურთიერთობას.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 14 ივლისის ბრძანება №90/04 - ვებგვერდი, 15.07.2021 წ.  
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.

## **მუხლი 8. (ამოღებულია)**

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება №206/04 - ვებგვერდი, 31.10.2019წ.  
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 25 თებერვლის ბრძანება №25/04 - ვებგვერდი, 26.02.2020წ.  
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.

## **მუხლი 9. ვირტუალური აქტივის გადაცემის თანხები ინფორმაცია**

1. აქტივის გადამცემის პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ვირტუალური აქტივის გადაცემას თან ახლდეს აქტივის გადამცემის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ა) გადამცემის სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი);

ბ) გადამცემის განაწილებული აღრიცხვის მისამართი, თუ ვირტუალური აქტივის გადაცემა რეგისტრირდება ქსელში, რომელიც იყენებს განაწილებული აღრიცხვის ტექნოლოგიას (DLT) ან მსგავს ტექნოლოგიას და აქტივის გადამცემის ვირტუალური აქტივის ანგარიშის ნომერი, თუ ასეთი ანგარიში არსებობს და გამოიყენება გადაცემის დასამუშავებლად;

გ) აქტივის გადამცემის ვირტუალური აქტივის ანგარიშის ნომერი, თუ ვირტუალური აქტივის გადაცემა არ რეგისტრირდება ქსელში, რომელიც იყენებს განაწილებული აღრიცხვის ტექნოლოგიას (DLT) ან მსგავს ტექნოლოგიას;





დ) აქტივის გადამცემის მისამართი, მათ შორის, ქვეყნის დასახელება, ან, აქტივის გადამცემის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/პასპორტის ნომერი ან პირის საიდენტიფიკაციო ნომერი, ან აქტივის გადამცემის დაბადების თარიღი და ადგილი;

ე) აქტივის გადამცემი იურიდიული პირის ოფიციალური საიდენტიფიკაციო მონაცემი (შესაძლებელია, მათ შორის, LEI), თუ გადაცემის შეტყობინების ფორმატში შესაბამისი ველი წარმოდგენილია და აქტივის გადამცემის მიერ აქტივის გადამცემის პროვაიდერისთვის მიწოდებულია.

2. აქტივის გადამცემის პროვაიდერი ვალდებულია, რომ ვირტუალური აქტივის გადაცემას თან ახლდეს შემდეგი ინფორმაცია აქტივის მიმღების შესახებ:

ა) აქტივის მიმღების სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი);

ბ) აქტივის მიმღების განაწილებული აღრიცხვის მისამართი, თუ ვირტუალური აქტივის გადაცემა რეგისტრირდება ქსელში, რომელიც იყენებს განაწილებული აღრიცხვის ტექნოლოგიას (DLT) ან მსგავს ტექნოლოგიას და აქტივის მიმღების ვირტუალური აქტივის ანგარიშის ნომერი, თუ ასეთი ანგარიში არსებობს და გამოიყენება გადაცემის დასამუშავებლად;

გ) აქტივის მიმღების ვირტუალური აქტივის ანგარიშის ნომერი, თუ ვირტუალური აქტივის გადაცემა არ რეგისტრირდება ქსელში, რომელიც იყენებს განაწილებული აღრიცხვის ტექნოლოგიას (DLT) ან მსგავს ტექნოლოგიას;

დ) აქტივის მიმღები იურიდიული პირის ოფიციალური საიდენტიფიკაციო მონაცემი (შესაძლებელია, მათ შორის, LEI), თუ გადაცემის შეტყობინების ფორმატში შესაბამისი ველი წარმოდგენილია და აქტივის გადამცემის მიერ აქტივის გადამცემის პროვაიდერისთვის მიწოდებულია.

3. თუ გადაცემა არ რეგისტრირდება ქსელში, რომელიც იყენებს განაწილებული აღრიცხვის ტექნოლოგიას (DLT) ან მსგავს ტექნოლოგიას და, ამასთან, ვირტუალური აქტივის გადაცემა არ ხორციელდება ვირტუალური აქტივის ანგარიშიდან ან ასეთ ანგარიშზე, აქტივის გადამცემის პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ნაცვლად გადაცემას თან ახლდეს გადაცემის ტრანზაქციის უნიკალური კოდი.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის გადაცემა უნდა განხორციელდეს ვირტუალური აქტივის გადაცემამდე ან მისი გადაცემისას, დაცული გზით და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთან, ვირტუალური აქტივის პროვაიდერი არ არის ვალდებული, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია გადაცემის ტრანზაქციას გააყოლოს უშუალოდ ვირტუალური აქტივის გადაცემის ტრანზაქციაზე დართვის ან მასში განთავსების გზით.

5. თვითმართვად მისამართზე ვირტუალური აქტივის გადაცემის შემთხვევაში, აქტივის გადამცემის პროვაიდერი ვალდებულია მოიპოვოს და შეინახოს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია და უზრუნველყოს გადაცემის ტრანზაქციების ინდივიდუალური იდენტიფიცირების შესაძლებლობა.

6. თუ საკუთარ თვითმართვად მისამართზე გადაცემული ვირტუალური აქტივის ღირებულება აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, აქტივის გადამცემის პროვაიდერი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა შეაფასოს ხსენებული მისამართი ეკუთვნის თუ არა აქტივის გადამცემს ან კონტროლდება თუ არა მის მიერ.

7. ამ მუხლით განსაზღვრული გადაცემის ტრანზაქციებისთვის დადგენილი აქტივის გადამცემის შესახებ მონაცემების ვერიფიკაცია უნდა განხორციელდეს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.



8. დაუშვებელია აქტივის გადამცემის პროვაიდერმა აქტივის გადამცემს გადაცემის ტრანზაქციის ინიცირების საშუალება მისცეს ან შეასრულოს გადაცემის ნებისმიერი ტრანზაქცია ამ მუხლით განსაზღვრულ დებულებებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფამდე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.

## **მუხლი 10. ვირტუალური აქტივის გადაცემის ტრანზაქციების პაკეტური ფაილის სახით შესრულება**

აქტივის ერთი გადამცემის მიერ ინიცირებული გადაცემის ტრანზაქციების პაკეტური ფაილის სახით შესრულებისას, მისი შემადგენელი ინდივიდუალური გადაცემის ტრანზაქციების მიმართ არ ვრცელდება ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, თუ პაკეტური ფაილი შეიცავს ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, ასევე, ეს ინფორმაცია გადამოწმებულია ამ დებულების მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად და პაკეტური ფაილის შემადგენელი ინდივიდუალური გადაცემის ტრანზაქციები აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

- ა) ამ დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, შეიცავს აქტივის გადამცემის განაწილებული აღრიცხვის მისამართს;
- ბ) ამ დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, შეიცავს აქტივის გადამცემის ვირტუალური აქტივის ანგარიშის ნომერს;
- გ) ამ დებულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, შეიცავს ტრანზაქციების უნიკალურ კოდებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.

## **მუხლი 11. აქტივის მიმღების პროვაიდერის მიერ აქტივის გადამცემის ან აქტივის მიმღების შესახებ არასრული თანმხლები ინფორმაციით გადაცემის ტრანზაქციის აღმოჩენა**

1. აქტივის მიმღების პროვაიდერი ვალდებულია დანერგოს ეფექტური პროცედურები, რომელთა საშუალებით გადაცემისას ან გადაცემის შემდგომი მონიტორინგის გზით შეამოწმებს გადაცემა/პაკეტური ფაილი შეიცავს, ან მას მიჰყვება თუ არა აქტივის გადამცემზე და აქტივის მიმღებზე ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია.
2. ვირტუალური აქტივის თვითმართვადი მისამართიდან გადაცემის შემთხვევაში, აქტივის მიმღების პროვაიდერი ვალდებულია, მოიპოვოს და შეინახოს ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია და უზრუნველყოს გადაცემის ტრანზაქციების ინდივიდუალური იდენტიფიცირების შესაძლებლობა.
3. თუ თვითმართვადი მისამართიდან გადაცემული ვირტუალური აქტივის ღირებულება აღემატება 1000 ევროს ან 1000 აშშ დოლარს ან 3000 ლარს, ან ამ უკანასკნელის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, აქტივის მიმღების პროვაიდერი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა შეაფასოს ხსენებული მისამართი ეკუთვნის თუ არა აქტივის მიმღებს ან კონტროლდება თუ არა მის მიერ.
4. აქტივის მიმღებისთვის ვირტუალური აქტივის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფამდე, აქტივის მიმღების პროვაიდერი ვალდებულია ამ დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აქტივის მიმღების შესახებ ინფორმაციის ვერიფიკაცია განახორციელოს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.



**მუხლი 12. აქტივის მიმღების პროვაიდერის ქმედებები აქტივის გადამცემის ან აქტივის მიმღების შესახებ ინფორმაციის გარეშე ან არასრული ინფორმაციით გადაცემის ტრანზაქციასთან დაკავშირებით**

1. აქტივის მიმღების პროვაიდერი ვალდებულია დანერგოს რისკზე დაფუძნებული ეფექტური პროცედურები, რომლებიც, მათ შორის, მოიცავს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რისკზე დამყარებულ მიდგომას და რომლის საფუძველზეც აქტივის მიმღების პროვაიდერი განსაზღვრავს აქტივის გადამცემის ან/და აქტივის მიმღების შესახებ ინფორმაციის გარეშე ან არასრული ინფორმაციით მიღებული გადაცემის ტრანზაქციების შესრულების, უარყოფის, უკან დაბრუნების ან შესრულების შეჩერების საკითხებს, ასევე აღნიშნულ გადაცემის ტრანზაქციებთან დაკავშირებით ვირტუალური აქტივის პროვაიდერის შემდგომი ქმედებების საკითხებს (მათ შორის, აქტივის გადამცემის პროვაიდერის ან ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერისგან ამ დებულებით განსაზღვრული ინფორმაციის გამოთხოვას).

2. თუ აქტივის მიმღების პროვაიდერისთვის ცნობილი გახდა, რომ ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტებით ან მე-10 მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია გამოტოვებული ან არასრულია, აქტივის მიმღების პროვაიდერი ვალდებულია, რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი ზომა:

- ა) უარყოს გადაცემა ან დააბრუნოს გადაცემული ვირტუალური აქტივები აქტივის გადამცემის ვირტუალური აქტივის ანგარიშზე;
- ბ) აქტივის მიმღებისთვის ვირტუალური აქტივის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფამდე, შესაბამის ვირტუალური აქტივის პროვაიდერს მოთხოვოს საჭირო ინფორმაცია აქტივის გადამცემისა და აქტივის მიმღების შესახებ.

3. თუ ვირტუალური აქტივის პროვაიდერი განმეორებით ვერ უზრუნველყოფს აქტივის გადამცემის და აქტივის მიმღების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, აქტივის მიმღების პროვაიდერი, ზემოაღნიშნული პროვაიდერის რისკისა და დარღვევის სიხშირის გათვალისწინებით, ვალდებულია:

- ა) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ზომების მიღებამდე, მიიღოს ზომები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს გაფრთხილების გაცემას და ვადების დაწესებას, ან
- ბ) პირდაპირ უარყოს ვირტუალური აქტივის გადამცემის ნებისმიერი მომავალი ტრანზაქცია, შეზღუდოს ან შეწყვიტოს საქმიანი ურთიერთობა შესაბამის ვირტუალური აქტივის პროვაიდერთან.

4. აქტივის მიმღების პროვაიდერი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს შეატყობინოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გარემოებისა და მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.*

**მუხლი 13. ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერის მიერ აქტივის გადამცემისა და აქტივის მიმღების შესახებ გადაცემის ტრანზაქციის თანმხლები ინფორმაციის შენახვა**

ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერი ვალდებულია, უზრუნველყოს აქტივის გადამცემისა და აქტივის მიმღების შესახებ მიღებული გადაცემის თანმხლები ყველა ინფორმაციის გადაცემის ტრანზაქციაზე გაყოლება, ასევე, აღნიშნული თანმხლები ინფორმაციის შენახვა.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.*

**მუხლი 14. ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერის მიერ აქტივის გადამცემის ან აქტივის მიმღების შესახებ არასრული თანმხლები ინფორმაციით გადაცემის ტრანზაქციის აღმოჩენა**



ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერი ვალდებულია, დანერგოს რისკზე დაფუძნებული ეფექტური პროცედურები, რომელთა საშუალებით გადაცემისას ან გადაცემის შემდგომი მონიტორინგის გზით შეამოწმებს, გადაცემასთან/პაკეტურ ფაილთან ერთად, მის მიღებამდე ან მისი მიღებისას მიიღოს, თუ - არა, აქტივის გადამცემზე და აქტივის მიმღებზე ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით და მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც გადაცემა განხორციელდა თვითმართვადი მისამართიდან ან/და ასეთი მისამართისკენ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.

## **მუხლი 15. ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერის ქმედებები აქტივის გადამცემის ან აქტივის მიმღების შესახებ ინფორმაციის გარეშე ან არასრული ინფორმაციით გადაცემის ტრანზაქციებთან დაკავშირებით**

1. ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერი ვალდებულია დანერგოს რისკზე დაფუძნებული ეფექტური პროცედურები, რომლებიც, მათ შორის, მოიცავს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რისკზე დამყარებულ მიდგომას და რომლის საფუძველზეც ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერი განსაზღვრავს აქტივის გადამცემის ან/და აქტივის მიმღების შესახებ ინფორმაციის გარეშე ან არასრული ინფორმაციით მიღებული გადაცემის ტრანზაქციის შესრულების, უარყოფის, უკან დაბრუნების ან შესრულების შეჩერების საკითხებს, ასევე აღნიშნულ გადაცემის ტრანზაქციებთან დაკავშირებით ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერის შემდგომი ქმედებების საკითხებს (მათ შორის, გადამცემის ან შუამავალი პროვაიდერისგან ამ დებულებით განსაზღვრული ინფორმაციის გამოთხოვას).

2. თუ ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერისთვის ცნობილი გახდა, რომ ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით, მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით ან მე-10 მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია გამოტოვებული ან არასრულია, ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერი ვალდებულია, რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი ზომა:

ა) უარყოს გადაცემა ან დააბრუნოს გადაცემული ვირტუალური აქტივები;

ბ) ვირტუალური აქტივის გადაცემამდე, მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია აქტივის გადამცემისა და აქტივის მიმღების შესახებ.

3. თუ ვირტუალური აქტივის პროვაიდერი განმეორებით ვერ უზრუნველყოფს აქტივის გადამცემის და აქტივის მიმღების შესახებ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებას, ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერი, ზემოაღნიშნული პროვაიდერის რისკისა და დარღვევის სიხშირის გათვალისწინებით, ვალდებულია:

ა) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზომის მიღებამდე, მიიღოს ზომები, რომლებიც თავდაპირველად შეიძლება მოიცავდეს გაფრთხილების გაცემას და ვადების დაწესებას, ან

ბ) პირდაპირ უარყოს ან დააბრუნოს ვირტუალური აქტივის გადაცემის ნებისმიერი მომავალი ტრანზაქცია, შეზღუდოს ან შეწყვიტოს საქმიანი ურთიერთობა შესაბამის ვირტუალური აქტივის პროვაიდერთან.

4. ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს შეატყობინოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გარემოებისა და მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.



## **მუხლი 16. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის და ვირტუალური აქტივის პროვაიდერის შიდა პოლიტიკა, პროცედურები და კონტროლი შემზღვეველი ზომების განხორციელების უზრუნველსაყოფად**

საგადახდო მომსახურების პროვაიდერი და ვირტუალური აქტივის პროვაიდერი ვალდებული არიან, ჰქონდეთ შიდა პოლიტიკა, პროცედურები და კონტროლი, რათა უზრუნველყონ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებული კანონმდებლობით განსაზღვრული შემზღვეველი ზომები ფულადი სახსრების გადარიცხვის და ვირტუალური აქტივის გადაცემის ტრანზაქციებისას.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.*

## **მუხლი 17. გარდამავალი დებულებები**

1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია, ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.დ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობა უზრუნველყოს 2025 წლის 1 იანვრამდე.
2. ვირტუალური აქტივის პროვაიდერი ვალდებულია, ამ დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობა უზრუნველყოს 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №386/04 - ვებგვერდი, 28.12.2023 წ.*

